ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4160382

ნომერი: AR1624037

თარიღი : 20.08.2018

გაცემის თარიღი : 10.09.2018

გაცნობის თარიღი : 10.09.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭილაძე პ/ნ 60002004842
- ქუთაისი ნიკეას 2 შესახვევი 14/18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 თებერვლის №3813381 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 აგვისტოს №AR1624037 განცხადებით მომართა გიორგი ჭილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 08

თებერვლის №3813381 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 08 თებერვლის №3813381 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, თევდორე მღვდელის ქუჩა N27, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.006.005) არსებული N1/4, 2/2, 9/1, 10/2, 11/1, 12/1, 13/1, 14/1, 15/1, 16/2, 17/1, 18/1, 24/1 და 25/2 შენობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 12 თებერვლიდან 2018 წლის 12 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 18 ივლისის №4072157 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 08 თებერვლის №3813381 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით.
დადგენილია, რომ სამსახურის 2018 წლის 08 თებერვლის №3813381 ბრძანება გაცემულია N01.13.07.006.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, (მიწის ნაკვეთის ფართობი: 14895 კვ.მ).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 08 თებერვლის №3813381 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და N01.13.07.006.005 (14895 კვ.მ.) საკადასტრო კოდის ნაცვლად 01.13.07.006.026 (11896 კვ.მ.) საკადასტრო კოდის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N892018672846, მომზადების თარიღი: 01/08/2018 14:21:37) თანახმად, N01.13.07.006.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად წარმოიშვა N01.13.07.006.026 (11896 კვ.მ.) და N01.13.07.006.027 (2999 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი და კონფიგურაცია, ასევე დასაზუსტებელია სადემონტაჟო იბიექტების რაოდენობა და მდებარეობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
